

საქართველოში წიაღის სექტორის განვითარების დაგეგმვის ლაბირინთები

აგვისტო, 2020

მწვანე ალტერნატივა

ანგარიში გამოცემულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“ და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ენერგეტიკის, წიაღით სარგებლობისა და ტრანსპორტის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებებს.

ავტორი: ქეთი გუჯარაიძე
ფოტო ყდაზე: ‘labyrinth’, უცნობი ავტორი, ფოტო დაცულია CC BY-SA ლიცენზიით.

©მწვანე ალტერნატივა, აგვისტო, 2020

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

This publication is also available in English.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

მწვანე ალტერნატივა

სარჩევი

შესავალი 1

1. 2005-2020 წლებში სამთომოპოვებითი მრეწველობის სფეროში გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის მახასიათებლები 1

2. წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავება - მთავრობის პრიორიტეტი 5

3. წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავების პროცესი და საზოგადოების მონაწილეობა 7

4. პოლიტიკიდან სტრატეგიამდე: სად დაიკარგა პოლიტიკა? 10

5. საჯარო სამსახურიდან კერძო სექტორში 12

ბოლოსიტყვაობა 16

ბიბლიოგრაფია 17

დიაგრამა

დიაგრამა 1. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილების 2

ჩანართები

ჩანართი 1. ამონარიდი საქართველოს მთავრობის 2017 წლის დეკემბრის პროგრამიდან „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ 5

ჩანართი 2. ამონარიდი საქართველოს მთავრობის 2018 წლის ივნისის პროგრამიდან „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ 6

სურათები

სურათი 1. სურათები მაია ზავრაშვილის Facebook-ის გვერდიდან 12

სურათი 2. სურათები კომპანია Colliers International Georgia-სა და მაია ზავრაშვილის Facebook-ის გვერდებიდან 13

სურათი 3. სურათები Colliers International-ისა და Mining & Minerals Solutions-ის საინფორმაციო ბროშურიდან 14

შესავალი

ეს ნაშრომი ეხება სამთომოპოვებითი მრეწველობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პირველ მცდელობას საქართველოში. მასში აღწერილია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დახმარებით წარმართული პოლიტიკის შემუშავების პროცესი და მისი ნაკლოვანებები. ნაშრომის პირველ თავში აღწერილია საქართველოში, სამთომოპოვებითი მრეწველობის სფეროში, ბოლო 15 წლის განმავლობაში გატარებული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი; შემდგომ - მე-2, მე-3 და მე-4 თავებში - განხილულია 2018 წელს დაწყებული საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესი და მისი გაუმჭვირვალობის შედეგები. მე-5 თავში აღწერილია წიაღის სექტორში „მბრუნავი კარის" საზოგადოებისთვის ცნობილი უახლესი შემთხვევა და საუბარია ამ შემთხვევის შესაძლო შედეგებზე. ნაშრომის ბოლოსიტყვაობაში მოცემულია მოსაზრებები არსებული ვითარების გამოსწორების და მომავალში, შესაძლო პრობლემების პრევენციის გზების შესახებ.

1. 2005-2020 წლებში სამთომოპოვებითი მრეწველობის სფეროში გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის მახასიათებლები

ცნობილია, რომ საქართველო მდიდარია ზოგიერთი სახის სასარგებლო წიაღისეულით და სამთომოპოვებითი მრეწველობაც ქვეყანაში მრავალ წელს ითვლის. სამთომოპოვებითი მრეწველობისა და ლითონების საერთაშორისო საბჭოს (International Council on Mining and Metals, ICMM) თანახმად,[1] 2018 წელს, ქვეყნის ეკონომიკაში სამთომოპოვებითი მრეწველობის წილის მიხედვით, საქართველო, მსოფლიოს 182 ქვეყანას შორის, 31-ე ადგილს იკავებდა (ინდექსით - 71.3),[2] რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამთომოპოვებით მრეწველობაზე.

საქართველოს არასდროს ჰქონია ფორმალიზებული სახელმწიფო პოლიტიკა სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორში (შემდგომ, ამ ნაშრომში - წიაღის სექტორი). მიუხედავად ამისა, მთავრობის პროგრამები და ამ სფეროში ნორმატიული აქტებით დადგენილი მართვის მექანიზმები, მაინც იძლევა წარმოდგენას ბოლო 15 წლის განმავლობაში სექტორში არსებულ სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებზე. ქვემოთ, მოკლედ მიმოხილულია წიაღის სექტორში ამ დრომდე გატარებული პოლიტიკის რამდენიმე ყურადსაღები მახასიათებელი.

➲ სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა

საბჭოთა მმართველობის ნგრევისა და წარმოების სისტემების მოშლის შემდეგ, ისევე როგორც არაერთმა პოსტ-საბჭოთა ქვეყანამ, საქართველომაც, ეკონომიკის ფეხზე დაყენებისა და სიღარიბის დაძლევის გზად, ბუნებრივი რესურსების მოპოვება და ექსპორტი დაისახა. ბუნებრივია, ამისათვის, საჭირო იყო სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბება. ამდენად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან და კონსტიტუციის მიღებიდან მოკლე ხანში, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, მიღებულ

[1] International Council on Mining and Metals (ICMM), October 2018. Role of Mining in National Economies: Mining Contribution Index 2018. 4th edition.

[2] შესადარებლად, სამთომოპოვებით მრეწველობაზე ძლიერ დამოკიდებულ ქვეყანათა ოცეულში (80-ზე მეტი ინდექსით) ხვდებიან აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები (მაგ., კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, განა, ნამიბია, ზიმბაბვე, სურინამი, ბოლივია), მონღოლეთი და ზოგიერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა (ყირგიზეთი - მე-5, უზბეკეთი - მე-10, სომხეთი - მე-14 და ტაჯიკეთი - მე-15 ადგილებით). საქართველო, მაღალი ინდექსის მქონე ქვეყნების მომდევნო ჯგუფშია მოქცეული (60-დან და 80-მდე ინდექსით) ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორიცაა: რუსეთი (26-ე ადგილი), ყაზახეთი (27-ე ადგილი), კოლუმბია (30-ე ადგილი), ავსტრალია (32-ე ადგილი), ჩილე (35-ე ადგილი), თურქეთი (38-ე ადგილი), ირანი (მე-40 ადგილი) და უკრაინა (47-ე ადგილი).

იქნა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული პირველი კანონები; მათ შორის, 1996 წლის მაისში - კანონი „წიაღის შესახებ“. ამ კანონით განისაზღვრა წიაღის სექტორის მართვაზე პასუხისმგებელი უწყებები, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები და სხვა ფუძემდებლური საკითხები. ყურადსაღებია, რომ 1999 წლამდე, მინერალურ რესურსებთან ერთად, ამ კანონით რეგულირდებოდა ნავთობის და გაზის რესურსების ათვისების და მიწისქვეშა წყლების მოპოვების საკითხებიც. 1999 წელს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ კანონის მიღებით, ნავთობისა და გაზის რესურსების მოპოვება (ნავთობისა და გაზის ოპერაციები) სხვაგვარი სამართლებრივი რეგულირების ქვეშ მოექცა; მიწისქვეშა წყლების მოპოვება კი, დღემდე, „წიაღის შესახებ“ კანონით რეგულირდება.

„წიაღის შესახებ“ კანონის მიღებიდან დღემდე, მასში არაერთი ცვლილება შევიდა, რომელთა უმრავლესობა წიაღით სარგებლობის უფლების მინიჭების წესებს ეხებოდა. ამავე საკითხს ეხება 2005 წელს მიღებული „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონიც. ეს ე.წ. ჩარჩო კანონი განსაზღვრავს საქართველოში ნებისმიერი სახის ლიცენზიისა და ნებართვის, მათ შორის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის ზოგად წესს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მიღებას, მალევე მოჰყვა კანონქვემდებარე აქტიც, რომელიც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემისთვის დეტალურ მოთხოვნებს ადგენს. ეს აქტია: საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“[3]. სწორედ ეს ნორმატიული აქტი ითვლება დღეს წიაღის სექტორში უმთავრეს სახელმძღვანელოდ, რადგან ზემოხსენებული პირველი ორი აქტი მხოლოდ ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს განსაზღვრავს; მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დებულება კი - კონკრეტულ მექანიზმებსა და მნიშვნელოვან დეტალებს. ყურადსაღებია, რომ დებულებაში, მისი მიღებიდან დღემდე - 2005-2020 (აგვისტო) წლებში - 75-ჯერ შევიდა ცვლილება. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა აჩვენებს დებულებაში ცვლილებების შეტანის სიხშირეს წლების მიხედვით.



დიაგრამა 1. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილების ცვლილების სიხშირე (2005-2020 წ.წ.)

[3] ხელმისაწვდომია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე. სარეგისტრაციო კოდი: 380.050.000.10.003.000.270

როგორც დიაგრამიდან ჩანს, დებულება იცვლებოდა ყოველ წელს და უმეტეს შემთხვევაში, წლის განმავლობაში - არაერთხელ. ცვლილებების სიხშირით განსაკუთრებით გამოირჩევა 2007-2008, 2010-2012 და 2016 წლები. ამ წლებში, დებულებაში ცვლილებები შედიოდა თითქმის ყოველ თვე, ზოგჯერ კი - თვეში რამდენჯერმეც: მაგალითად, 2010 წლის ნოემბერში, სულ რამდენიმედღიანი შუალედით, დებულებაში ცვლილება სამჯერ შევიდა; 2016 წლის ივლისსა და აგვისტოში ცვლილებები ორ-ორჯერ შევიდა, ცვლილებებს შორის ერთკვირიანი შუალედით.

- **კომპეტენტური ორგანო**

სექტორზე პასუხისმგებელი ორგანოც არაერთხელ შეიცვალა: 1996 წელს, „წიაღის შესახებ“ კანონის მიღებიდან 2008 წლამდე სექტორზე პასუხისმგებელი ორგანო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო იყო. 12-წლიანი სტაბილურობის შემდეგ, 2008 წლიდან, დაიწყო სექტორთან დაკავშირებული კომპეტენციების ერთი უწყებიდან მეორეში გადატანა. კერძოდ:

- 2008 წელს წიაღით სარგებლობის რეგულირებაზე პასუხისმგებელი ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გახდა;
- 2011 წელს ამ ფუნქციამ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გადაინაცვლა;
- 2013 წელს - კვლავ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაუბრუნდა;
- 2017 წლის დეკემბერში კი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეცა, სადაც სპეციალიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - წიაღის ეროვნული სააგენტო - შეიქმნა.

საგულისხმოა, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის ფუნქციის ჩამორთმევაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ყოველთვის იხილებოდა, ასევე, ამ სამინისტროს გაუქმების საკითხი. ბოლო, 2017 წლის დეკემბრის ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური ცვლილების შედეგად, კრიტიკის მიუხედავად, ეს სამინისტრო შეერწყა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ამრიგად, დღეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი 2017 წლის ბოლოს შექმნილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაში შედის.

- **გამჭვირვალობა**

ყურადსაღებია ისიც, რომ ამ 15 წლის განმავლობაში ზემოხსენებულ მთავრობის დადგენილებაში შეტანილი არცერთი ცვლილება არ ყოფილა საზოგადოებრივი განხილვის საგანი. საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს არც თავად ამ დადგენილებით რეგულირებული საკითხი - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის პროცედურა. შედეგად, საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები გაიცემა მოპოვებითი პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების, თემების და ზოგადად, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

როგორც მომდევნო თავებში ვნახავთ, 2018-2019 წლებში, წიაღის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის პირველმა მცდელობამაც, სამწუხაროდ, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე ჩაიარა.

- **გარემოსდაცვითი მოთხოვნები**

2004 წლიდან დაწყებული საყოველთაო დერეგულაციის პოლიტიკის შედეგად, უმნიშვნელოვანესი ცვლილებები გატარდა წიაღის სექტორშიც. ასე, მაგალითად: 2007 წელს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტები გათავისუფლდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ჩატარების

ვალდებულებისგან. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მსურველს, უბრალოდ, უნდა შეეძინა წიაღისეულის მოპოვების უფლება (ლიცენზია) აუქციონზე; მას აღარ მოეთხოვებოდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, ასევე, ადგილობრივ თემებზე წიაღისეულის მოპოვებით გამოწვეული შესაძლო მავნე ზეგავლენის წინასწარ შესწავლა და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების პრევენციის ვალდებულებების აღება.

ეს ვითარება გაგრძელდა 2018 წლის 1 იანვრამდე - იმ დრომდე, სანამ ამოქმედდა გზშ-ს სფეროს მარეგულირებელი ახალი აქტი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (მიღებულ იქნა 2017 წლის 1 ივნისს). კოდექსმა, 10-წლიანი პაუზის შემდეგ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება კვლავ დაუქვემდებარა გზშ-ს, თუმცა, აქვე, კვლავ დატოვა გზშ-ს პროცედურების თავიდან აცილების შესაძლებლობები: კოდექსით დაწესდა ძალზე მაღალი ზღვრები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც გზშ-ს ჩატარება სავალდებულოა. გარდა ამისა, კოდექსმა რეგულირების გარეთ დატოვა საშენი მასალების, მათ შორის, ქვიშა-ხრეშის მოპოვება[4]; ეს მაშინ, როდესაც საქართველოში ამჟამად გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების საერთო რაოდენობის (5 ათასამდე ლიცენზიის) დაახლოებით ნახევარი სწორედ სამშენებლო მასალების მოპოვებაზე მოდის.[5]

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გარემოსდაცვითი ეფექტიანობის საკითხი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სპეციალური შესწავლის საგანიც კი გახდა.[6] სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა 2014-2017 წლებში პასუხისმგებელი უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებები და რამდენად უზრუნველყოფდნენ ისინი სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების მიერ გარემოს ადეკვატურ დაცვას.

- **საკუთრების უფლების დაცვა**

საქართველოს კანონმდებლობა, ისევე როგორც მსოფლიოს, პრაქტიკულად, ყველა ქვეყნის კანონმდებლობა, ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას სახელმწიფოს მიერ პირისთვის საკუთრების ჩამორთმევის შესაძლებლობას. 2005 წელს ამ საკითხის მარეგულირებელ აქტში - „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში - შევიდა ცვლილება, რომელმაც დასაშვები გახადა საკუთრების ექსპროპრიაცია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას. ამრიგად, საქართველოში, კომერციული საქმიანობა - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება - შეიძლება გამოცხადებულ იქნეს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად და ქონების (მაგალითად, მიწის) პროექტის სასარგებლოდ დათმობაზე (გაყიდვაზე) უარის თქმის შემთხვევაში, მესაკუთრეს შეიძლება ჩამოერთვას ქონება, ექსპროპრიაციის პროცედურების გამოყენებით. ეს წესი დღემდე მოქმედებს.

- **ბუნებრივი რესურსით სარგებლობის რეგულირების საფასური**

2011 წელს შემოღებულ იქნა ბუნებრივი რესურსით სარგებლობის რეგულირების საფასური. ეს არის გადასახდელი, რომელსაც იხდიან სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებლები (ლიცენზიანტები)

---

[4] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: „მწვანე ალტერნატივას მოსაზრებები გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის აღსრულების შესახებ“, მწვანე ალტერნატივა, 2020 წლის 31 მარტი.

[5] Adam Smith International და European Bank for Reconstruction and Development, 2019 წლის მარტი. საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკა: საბოლოო პროექტი.

[6] სახელმწიფო აუდიტის სამსახური, მარტი 2018. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში: სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროს გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.

იმისათვის, რათა მარეგულირებელმა ორგანომ შეძლოს თავისი საჯარო ფუნქციების ეფექტურად შესრულება. ბუნებრივი რესურსით სარგებლობის რეგულირების საფასურის დაწესება სამართლებრივად გაუმართლებელი იყო (ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას); ასეთი გადასახდელის შემოღება ქმნიდა, ასევე, კორუფციის საფრთხეებს.[7] მიუხედავად ამისა, ეს გადასახდელი დღემდე მოქმედებს.

წიაღის სექტორთან დაკავშირებული ზემოაღწერილი მოვლენები აჩვენებს საერთო სურათს: სახელმწიფოს სურვილს, მოუხსნას ყველანაირი ბარიერი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით დაინტერესებულ ინვესტორებს; გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის მექანიზმები კი, სწორედ ბარიერებად განიხილება. გარდა ამისა, ბოლო 15 წლის განმავლობაში კანონმდებლობასა და ინსტიტუციურ მოწყობაში ცვლილებების სიხშირე, ერთი მხრივ, მოწმობს სექტორში საერთო სახელმწიფოებრივი ხედვის და ხანგრძლივვადიანი მიზნების არარსებობას და მეორე მხრივ, ინსტიტუციურ სისუსტეს.

2. წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავება - მთავრობის პრიორიტეტი

საქართველოს მთავრობამ წიაღის სექტორის რეფორმირებისა და ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე ფიქრი, როგორც ჩანს, 2017 წელს დაიწყო. ეს ის პერიოდია, როდესაც წიაღის სექტორის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო კვლავ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროა.

2017 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ მოწონებულ 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში[8] რამდენიმე წინადადება წიაღის სექტორსაც ეხება. კერძოდ, მთავრობის პროგრამაში აღნიშნულია ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესების და ამისათვის, კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობაზე, რამაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. მართალია, მთავრობის ამ პროგრამაში არ არის პირდაპირი მითითება პოლიტიკის შემუშავებაზე, მაგრამ აღნიშნულია სექტორის რეფორმირების ზოგიერთი მიმართულების შესახებ (იხ. ჩანართი 1).

ჩანართი 1. ამონარიდი საქართველოს მთავრობის 2017 წლის დეკემბრის პროგრამიდან „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“

2.11 ბუნებრივი რესურსების მართვა

„ …მოწესრიგდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის, მოპოვებისა და ამ სფეროში კონტროლის საკითხები, დაინერგება ახალი სერვისები, რათა სტიმულირებულ იქნეს აღნიშნული სფეროთი კერძო სექტორის მაქსიმალური დაინტერესება და მოხდეს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირება. ლიცენზირების პროცესში გათვალისწინებული იქნება ეკოლოგიური ასპექტები.“

ის, რომ 2017 წელს წიაღის სექტორის რეფორმირება და სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება მთავრობის პრიორიტეტებს შორის იყო, დასტურდება, ასევე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (European Bank for Reconstruction and Development, EBRD) 2017 წლის 1 ნოემბრის

[7] დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასური - კანონიერება და კორუფციის საფრთხეები" მწვანე ალტერნატივა, ივლისი 2015.

[8] საქართველოს მთავრობა, 2017 თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა: სამთავრობო პროგრამა 2018-2020

განცხადებით[9], სადაც ბანკი იწვევს საკონსულტაციო კომპანიებს, გამოხატონ ინტერესი საკონსულტაციო სამუშაოების შესრულებაზე საქართველოში.

განცხადებაში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (შემდგომში - ერგბ ან ბანკი), ეყრდნობა რა საქართველოს მთავრობას, განმარტავს, რომ წიაღის სექტორის ქვეყნის ეკონომიკაში წვლილის გასაზრდელად, ინვესტორთა რისკის შესამცირებლად და საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა სექტორის რეფორმირება - შეიმუშავა სექტორის განვითარების პროგრამა, რომელიც შემდეგ სამ ღონისძიებას მოიცავს:

- პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბება;
- სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის შეცვლა, ახალი პოლიტიკისა და სტრატეგიის შესაბამისად;
- პოლიტიკის, სტრატეგიისა და კანონმდებლობის ეფექტიანი და ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა, ინსტიტუციური გაძლიერების და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობათა განვითარების გზით.

ბანკის თანახმად, საქართველოს მთავრობამ დახმარებისთვის ერგბ-ს მიმართა; ბანკმა თანხმობა განაცხადა და ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარებაში დასახმარებლად, კონკრეტულად კი, პროგრამის პირველი ფაზის (პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება) განსახორციელებლად, საკონსულტაციო კომპანიებისთვის, ინტერესთა გამოხატვის განცხადება გამოაქვეყნა. ბანკის დახმარება უნდა მიეღოთ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ამ სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ-ს - გარემოს ეროვნულ სააგენტოს (როგორც წიაღის მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ ერთეულს) და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

საინტერესოა, რომ საქართველოს მთავრობას 2018 წლის ივნისშიც მოუწია პარლამენტისთვის მთავრობის ახალი შემადგენლობის და შესაბამისად, განახლებული სამთავრობო პროგრამის წარდგენა.[10] ამ პროგრამაში, 2017 წლის პროგრამისგან განსხვავებით, უფრო ნათლადაა ჩამოყალიბებული მთავრობის პრიორიტეტები წიაღის სექტორში და პირდაპირაა აღნიშნული წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავების შესახებ (იხ. ჩანართი 2).

ჩანართი 2. ამონარიდი საქართველოს მთავრობის 2018 წლის ივნისის პროგრამიდან „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“

2.12 ბუნებრივი რესურსების მართვა

ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას, მიიღოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი. მთავრობის მიზანია ყველა რესურსი მაქსიმალური ეფექტიანობით იყოს გამოყენებული და იმავდროულად მოხდეს გარემოს დაცვით პრინციპებზე დაყრდნობით რესურსების მდგრადი მართვა.

რესურსებით სარგებლობის სრულყოფილი სამართლებრივი ჩარჩოს ფორმირების მიმართულებით, აღსანიშნავია რამდენიმე ფართომასშტაბიანი რეფორმა:

[9] European Bank for Reconstruction and Development, 1 November, 2017. Georgia Mining Sector - Development Support Programme: Invitation for expression of interest.

[10] საქართველოს მთავრობა, 2018. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა: სამთავრობო პროგრამა 2018-2020.

- წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავება - დაგეგმილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად **პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავება,** რომელთა საფუძველზეც რეფორმის მეორე ფაზაში, 2019 წელს შემუშავდება შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, ხოლო რეფორმის დასკვნით ეტაპზე შემუშავდება რეკომენდაციები სექტორში ადამიანური რესურსების გაძლიერებასთან დაკავშირებით;
- სასარგებლო წიაღისეულის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა/გაციფრებული ანგარიშების გახსნა;
- საბადოების დამუშავების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა;
- მარაგების კომისიის რეფორმა;
- სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;
- სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის სტიმულირება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2018 წლის ივნისში მთავრობის პროგრამის დამტკიცების მომენტისთვის, სასარგებლო წიაღისეულის მართვის ფუნქცია უკვე გადაცემული ჰქონდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებულ, ახლადშექმნილ წიაღის ეროვნულ სააგენტოს. ამ სააგენტოს კი, 2018 წლის იანვრიდან (სააგენტოს შექმნის დღიდან) უკვე ხელმძღვანელობდა მაია ზავრაშვილი - სახელმწიფო მოხელე, რომელმაც თანამდებობაზე დანიშვნამდე, 2016-2017 წლებში, მოასწრო რამდენიმე საპასუხისმგებლო თანამდებობის გამოცვლა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში; ამ თანამდებობებზე ყოფნისას, მის საკურაციო სფეროში შედიოდა სასარგებლო წიაღისეულის მართვის საკითხები.[11]

ამგვარად, ერგბ-ს მიერ დაფინანსებული პროგრამის პირველი ფაზის განხორციელება არა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, არამედ წიაღის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო, რომელსაც ამ დროს აღნიშნული სამინისტროდან გადასული მაია ზავრაშვილი ხელმძღვანელობდა.

3. წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავების პროცესი და საზოგადოების მონაწილეობა

მართალია მთავრობის 2018 წლის ივნისის პროგრამაში აღნიშნული იყო წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ პროცესი ისე დაიწყო, რომ სააგენტოს არ გაუკეთებია ოფიციალური განცხადება ამის შესახებ.

სააგენტომ არ გააკეთა ღია განცხადება საზოგადოებისთვის პროცესის დაწყების შესახებ; სააგენტომ არც დაინტერესებულ მხარეებს შეატყობინა დაგეგმილი რეფორმის, პოლიტიკის შემუშავების პროცესის ინიცირების, განრიგის, მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობების და სხვა ისეთი დეტალების შესახებ, რომელიც მათ წარმოდგენას შეუქმნიდა როგორც პოლიტიკის შემუშავების, ისე მთლიანად, სექტორის რეფორმის პროცესზე.

მწვანე ალტერნატივამ პოლიტიკის შემუშავების დაწყების შესახებ პირველად 2018 წლის ივნისში შეიტყო, როდესაც წიაღის ეროვნულმა სააგენტომ პერსონალურად შეატყობინა ორგანიზაციას ერგბ-ს უფროსი მრჩევლის პოლ მოფატის (Paul Moffatt, Senior Counsel) საქართველოში ვიზიტის შესახებ. სააგენტო

[11] 2016 წლის აპრილიდან 2017 წლის 26 სექტემბრამდე მაია ზავრაშვილს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა; შემდგომ, მოკლე ხნით, 2017 წლის 26 სექტემბრიდან ამავე წლის 15 დეკემბრამდე - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა. გარდამავალ პერიოდში (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის სასარგებლო წიაღისეულის მართვასთან დაკავშირებული ფუნქციების ჩამორთმევისა და სხვა - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გადაცემის პერიოდში), სამი კვირის განმავლობაში, მაია ზავრაშვილს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლის პოზიცია ეკავა. ამის შემდეგ კი, 2018 წლის 8 იანვრიდან, ის ამავე სამინისტროს წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის თანამდებობას იკავებს (წყაროები: წიაღის ეროვნული სააგენტო, საჯარო სამსახურის ბიურო).

წერილში აღნიშნავდა, რომ მისი ვიზიტისას იგეგმებოდა ბანკის პროექტის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება და სწორედ ამ მიზნით იყო მწვანე ალტერნატივა მიწვეული შეხვედრაზე სააგენტოში. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ეს არ იყო საერთო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან, არამედ შედგა ინდივიდუალური შეხვედრები ცალკეულ ორგანიზაციებთან. შეხვედრას უძღვებოდა პოლ მოფატი და მასში მონაწილეობას იღებდა ასევე, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის Adam Smith International-ის ორი წარმომადგენელი. შეხვედრაში არ მონაწილეობდა სააგენტოს არცერთი წარმომადგენელი.

პოლ მოფატმა შეხვედრაზე განმარტა, რომ ბანკის მიერ შერჩეული კომპანია Adam Smith International-ი განახორციელებდა პროექტს, რომლის ფარგლებშიც, 6-9 თვის ვადაში შემუშავდებოდა წიაღის სექტორის პოლიტიკა და სტრატეგია. მან დააზუსტა ასევე, რომ დოკუმენტების შინაარსზე საზოგადოებასთან კონსულტაციის პროცესს არა ბანკი ან საკონსულტაციო კომპანია, არამედ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და წიაღის ეროვნული სააგენტო გაუძღვებოდნენ. პოლ მოფატის მიერ პროექტის მიმოხილვის შემდეგ, შეხვედრის დარჩენილი ნაწილი საქართველოს წიაღის სექტორში არსებული პრობლემების შესახებ საუბარს დაეთმო; ბანკისა და საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენლებს აინტერესებდათ, რა პრობლემებს ხედავდა მწვანე ალტერნატივა წიაღის სექტორში. სავარაუდოდ, ასეთივე ფორმატში წარიმართა შეხვედრები სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

რატომ ვამახვილებთ ყურადღებას შეხვედრის დეტალებზე? საქმე იმაშია, რომ პირველ შეხვედრას 2018 წლის ივნისში, მოჰყვა ორი იდენტური შეხვედრა სააგენტოში იმავე წლის სექტემბერსა და დეკემბერში. ეს შეხვედრები, ისევე როგორც პირველი შეხვედრა: ინდივიდუალური იყო; მათში არ მონაწილეობდნენ სააგენტოს წარმომადგენლები; შეხვედრები იმართებოდა საკონსულტაციო კომპანია Adam Smith International-ის ექსპერტებთან მათთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად (ყველა შეხვედრა გაიმართა ფორმატით - „გვითხარით თქვენი აზრი სექტორში არსებული პრობლემების შესახებ“); და არცერთ შეხვედრაზე არ იქნა გაზიარებული ერთი წინადადებაც კი შემუშავების პროცესში მყოფი დოკუმენტიდან.

ამ ინდივიდუალური შეხვედრების შემდეგ, 2019 წლის თებერვალში, წიაღის ეროვნულმა სააგენტომ (Adam Smith International-ის ექსპერტებთან ერთად) ჩაატარა ერთადერთი საჯარო შეხვედრა სპეციალურად მიწვეულ წიაღის სექტორში მომუშავე კომპანიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან „წიაღის სექტორის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის“ განსახილველად. იყო მაღალი მოლოდინი იმისა, რომ ამჯერად მაინც იქნებოდა ხელმისაწვდომი დოკუმენტის რაიმე ვერსია, მაგრამ არც შეხვედრამდე და არც შეხვედრაზე, ან შეხვედრის შემდგომ სააგენტომ არ გაასაჯაროა დოკუმენტი. შეხვედრაზე Adam Smith International-ის წარმოდგენელმა გააკეთა პრეზენტაცია, რაზეც ითხოვეს დამსწრეთა მოსაზრებები; პრაქტიკულად, ყველა გამომსვლელმა ითხოვა დოკუმენტის გაზიარება იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო აზრის გამოთქმა.

ამ საერთო შეხვედრის შემდგომ, გავიდა რამდენიმე თვე და 2019 წლის 31 მაისს, მწვანე ალტერნატივას თანამშრომელმა სააგენტოს ვებ-გვერდზე, ერთ-ერთ ქვესექციაში (საჯარო ინფორმაცია/ანგარიშები), სადაც დღემდე, უსისტემოდ და დაუთარიღებლად, განთავსებულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, აღმოაჩინა რამდენიმეაბზაციანი ინფორმაცია ერგბ-ს პროექტისა და წიაღის სექტორის პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ. ეს დაუთარიღებელი მიმოხილვა მთავრდებოდა სააგენტოს თხოვნით, ერთი კვირის ვადაში წინადადებისა და შენიშვნების წარდგენის შესახებ და მოცემული იყო ბმული პოლიტიკის დოკუმენტზე. ინფორმაციის ნახვის მომენტისთვის კომენტირების ვადა უკვე ამოწურული იყო, ხოლო ბმული პოლიტიკის დოკუმენტზე არ მუშაობდა (პოლიტიკის დოკუმენტი არ იყო განთავსებული ბმულზე).

ამ აღმოჩენაზე წიაღის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელთან Facebook-ით კომუნიკაციის შემდეგ, სააგენტოს ვებ-გვერდზე გაჩნდა ბმული 2019 წლის მარტით დათარიღებულ დოკუმენტზე - „საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკა: საბოლოო პროექტი“ და კომენტარების წარდგენის შესაძლებლობის ახალი ვადა - 20 ივნისი. ამგვარად, საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკის პროექტი (პროექტის ერთადერთი ვერსია) ხელმისაწვდომი გახდა კომენტირებისთვის 2019 წლის 31 მაისს, ოღონდ ისე, რომ ამის შესახებ სააგენტოს არ გაუკეთებია საჯარო განცხადება.

სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში, მწვანე ალტერნატივამ წარადგინა თავისი შენიშვნები და მოსაზრებები გამოქვეყნებულ დოკუმენტზე[12], თუმცა, რა ბედი ეწია მათ, უცნობია. სააგენტოს არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია პოლიტიკის პროექტზე მიღებული შენიშვნების და მათი გათვალისწინების ან გაუთვალისწინებლობის შესახებ; უცნობია, რა სახის შენიშვნები იქნა წარდგენილი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სახელმწიფო უწყებებისა და კომპანიების მიერ და რა ზეგავლენა მოახდინეს მათ პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის შინაარსის ფორმირებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ერგბ-ს პროექტის ფარგლებში შემუშავებული კიდევ ორი დოკუმენტის შესახებ, რომელიც პოლიტიკის პროექტთან ერთად გამოქვეყნდა; ესენია:

- 2018 წლის ნოემბრით დათარიღებული „Georgia Mining Sector Development Programme, Phase I, Policy and Strategy: Status Report“ - ანგარიში, რომელშიც აღწერილია პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პერიოდისთვის არსებული მდგომარება საქართველოს წიაღის სექტორში; და
- 2018 წლის სექტემბრით დათარიღებული „Georgia Mining Sector Development Programme, Phase I, Policy and Strategy: Best Practice Report“ - ანგარიში, რომელშიც აღწერილია წიაღის სექტორის განვითარების საუკეთესო მიდგომები და სხვა ქვეყნების გამოცდილება.

ეს ანგარიშები დღემდე ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე. სავარაუდოდ, ისინი კონსულტანტებმა მოამზადეს იმისათვის, რომ წიაღის ეროვნულ სააგენტოს გამოეყენებინა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგისას და კონსულტაციისას. ეს, ბუნებრივია, ასე არ მოხდა: ისინი არ არის ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე და არც განხილვის საგანი ყოფილა ოდესმე.

[12] იხ. „მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და მოსაზრებები საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკის პროექტზე“, მწვანე ალტერნატივა, 2019 წლის 20 ივნისი.

4. პოლიტიკიდან სტრატეგიამდე: სად დაიკარგა პოლიტიკა?

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკის პროექტის შემუშავების პროცესი არ იყო ღია. ამასთან, წიაღის ეროვნულ სააგენტოს არასდროს აუხსნია საზოგადოებისთვის დოკუმენტის განხილვისა და მიღების პროცედურები და ვადები. მიუხედავად ამისა, იყო მოლოდინი, რომ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და არსებული პრაქტიკის შესაბამისად, წიაღის სექტორის სახელმწიფო პოლიტიკა წარედგინებოდა საქართველოს პარლამენტს და პარლამენტი დაამტკიცებდა მას. ეს კი, თავის მხრივ, იძლეოდა პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე და ფორმალურად დამტკიცებამდე, ამ ეტაპზე მაინც, მის განხილვაში ჩართვის შესაძლებლობას.

საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პარლამენტი, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 36). საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი კი, აზუსტებს პარლამენტის მიერ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის პროცედურებს[13]. რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის მიერ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების ერთ-ერთი სახეა კონცეფცია და მას ამტკიცებს პარლამენტი, რეგლამენტით დადგენილი წესით. ეს წესი კი, იძლევა კონცეფციის განხილვაში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას. სწორედ ამ წესის გამოყენებით დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 11 დეკემბერს ქვეყნის სატყეო პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტი - „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია“[14,15].

თუ ერთი სახის ბუნებრივი რესურსის - ტყის სფეროში, სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტმა განსაზღვრა, ლოგიკურია და ამას კანონმდებლობაც მოითხოვს, რომ წიაღის სფეროშიც სახელმწიფო პოლიტიკა პარლამენტს განესაზღვრა. წიაღის შემთხვევაში, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. რამდენიმეთვიანი სიჩუმის შემდეგ, ყოველგვარი განმარტების გარეშე, 2019 წლის 5 დეკემბერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ განაცხადა, რომ 5 დეკემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე, მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს წიაღის სექტორის განვითარების სტრატეგია. რამდენიმე დღეში კი, სტრატეგია წიაღის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა[16].

თუ შევადარებთ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგიას“[17] და წიაღის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ, 2019 წლის მარტით დათარიღებულ „საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკას“ (საბოლოო პროექტს), ადვილად შესამჩნევია, რომ ისინი ძალზე ჰგავს ერთმანეთს. სტრატეგია, პრაქტიკულად, იმეორებს პოლიტიკის დებულებებს; ძირითადი განსხვავება დოკუმენტების სტრუქტურაშია. როგორც ჩანს, სააგენტო შეეცადა, პოლიტიკის დოკუმენტისთვის მიეცა სტრატეგიის ფორმა, საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგიების

---

[13] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 132. კონცეფცია. ხელმისაწვდომია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016054

[14] სატყეო პოლიტიკის სამსახური, 2013-2014 წლების ანგარიში.

[15] საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის დადგენილება „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 390010000.09.001.016190

[16] წიაღის ეროვნული სააგენტო, 10 დეკემბერი, 2019. წიაღის ეროვნული სტრატეგია დამტკიცდა.

[17] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 9 დეკემბრის #2575 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგია“ ხელმისაწვდომია წიაღის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე და საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე.

შემუშავებისთვის დამტკიცებული ზოგადი წესის შესაბამისად[18]; თუმცა, მიუხედავად მცდელობისა, სტრატეგია - მისი შემუშავების პროცესი და საბოლოო პროდუქტიც - მაინც არ შეესაბამება მთავრობის მიერ დადგენილ წესს, მოიცავს სერიოზულ შეუსაბამობებს (მაგალითად, არ აქვს სამოქმედო გეგმა) და მცდარ ინფორმაციასაც კი (მაგალითად, სტრატეგია ამბობს, რომ სტრატეგიის შემუშავებისას „უზრუნველყოფილ იქნა ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაცია და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა“).

სტრატეგიის გამოჩენამ, ბუნებრივია, გააჩინა კითხვები: სად გაქრა პოლიტიკა?! რატომ დაერქვა პოლიტიკას სტრატეგია?! ერგბ-ს მიერ დაფინანსებული პროექტი ითვალისწინებდა პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას; მაშ, რატომ არ შეასრულა სრულად Adam Smith International-მა სამუშაო და არ შეიმუშავა პოლიტიკაც და სტრატეგიაც?!

არც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და არც წიაღის ეროვნულმა სააგენტომ არ ჩათვალეს საჭიროდ განმარტების გაკეთება. მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლის მიერ სააგენტოსთვის Facebook-ზე დასმულ კითხვას გამოეხმაურა სააგენტოს უფროსი მაია ზავრაშვილი და დაადასტურა, რომ პოლიტიკის დოკუმენტი შეცვლილი სტრუქტურითა და სახელწოდებით დაამტკიცა მთავრობამ; ამის მიზეზად კი, მან დაასახელა ის, რომ თითქოს „სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებები სტრატეგიის მოთხოვნებს პასუხობდა“. ამ განმარტებასთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ, რომ სამოქმედო გეგმა არც პოლიტიკის პროექტს და არც მის სტრატეგიად გადაკეთებულ ვერსიას, არ აქვს.

წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავების პროცესზე და ზოგადად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და წიაღის ეროვნული სააგენტოს საქმიანობაზე ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე, შეიძლება, გამოითქვას მყარი ვარაუდი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიად გადაკეთება: ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ სამინისტრომ და სააგენტომ თავიდან აიცილეს წიაღის სექტორში უკვე გატარებულ და გასატარებელ პოლიტიკაზე მსჯელობა პარლამენტში. ადვილი წარმოსადგენია დაინტერესებულ მხარეთა ის ძალზე ფართო წრე, რომელიც მოინდომებდა აზრის გამოთქმას პოლიტიკის დოკუმენტზე. მათ შორის აუცილებლად იქნებოდნენ პარლამენტის წევრები, პოლიტიკური პარტიები, კომპანიები, ადილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები და წიაღის მომპოვებელი კომპანიების საქმიანობით დაზარალებულ თემთა ჯგუფები.

ამგვარად, წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავების პროცესის დახურულობით, შემდგომ პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიად გადაკეთებით და დოკუმენტის, პარლამენტის ნაცვლად, მთავრობის საშუალებით ფორმალიზებით, სამინისტრომ და სააგენტომ, ასევე, ერგბ-მ (როგორც პროცესის დამფინანსებელმა და საქართველოს წიაღის სექტორში პოტენციურმა ინვესტორმა), „ზედმეტი მსჯელობის გარეშე“, მიიღეს ისეთი შინაარსის დოკუმენტი, როგორიც მათ სურდათ.

აქ, შეიძლებოდა, დაგვესრულებინა საქართველოს წიაღის სექტორის განვითარების დაგეგმვის ლაბირინთებზე საუბარი, რომ არა ერთი ახალი გარემოება, რომელმაც სხვა ელფერი შესძინა სიტუაციას და წარმოაჩინა აქამდე უცნობი რისკები. საუბარია, ახლახან, წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის, მაია ზავრაშვილის მიერ თანამდებობის დატოვებაზე და მის ახალ საქმიანობაზე. სწორედ, ამაზე ვისაუბრებთ მომდევნო თავში.

[18] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის #629 დადგენილება „პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე“. ხელმისაწვდომია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე, სარეგისტრაციო კოდი: 010240010.10.003.019696

5. საჯარო სამსახურიდან კერძო სექტორში

2020 წლის 20 მაისს, საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგიის დამტკიცებიდან 5 თვეში, წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა მაია ზავრაშვილმა სოციალურ ქსელში გამოაცხადა, რომ მან დატოვა დაკავებული თანამდებობა. თანამდებობის დატოვებიდან დაახლოებით ერთ თვეში, 2020 წლის 1 მაისს, მან კვლავ სოციალურ ქსელში გამოაცხადა, რომ ის დასაქმდა Adam Smith International-ში, იურიდიული მრჩევლის თანამდებობაზე (იხ. სურათი 1); სწორედ იმ კომპანიაში, რომელმაც ერგბ-ს მიერ დაფინანსებული პროგრამის პირველი ფაზის ფარგლებში, შეიმუშავა საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკის პროექტი.

სურათი 1. სურათები მაია ზავრაშვილის Facebook-ის გვერდიდან



ერთ თვეში, 2020 წლის 4 აგვისტოს, მაია ზავრაშვილმა მორიგი განცხადება გააკეთა კიდევ ერთ კომპანიაში დასაქმების შესახებ (იხ. სურათი 1). ზავრაშვილმა აღნიშნა, რომ მის მიერ 2020 წლის ივლისში დაარსებული შპს „მაინინგ ენდ მინერალს სოლუშენსისა“ (Mining & Minerals Solutions)[19] და საერთაშორისო კომპანია „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ (Colliers International Georgia)[20] თანამშრომლობის საფუძველზე, იქმნება ახალი კომპანია „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია - მაინინგ ენდ მინერალს”, სადაც ის იქნება დამფუძნებელი პარტნიორი და დაიკავებს მმართველი დირექტორის თანამდებობას.

[19] მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი: 405404334

[20] კომპანია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერვისების უზრუნველყოფისა და ინვესტიციების მართვის სფეროში საქმიანობს. იხ. კომპანიის ვებ-გვერდი.

მომდევნო დღეს მაია ზავრაშვილმა და „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიამ“ გაავრცელეს რეკლამა კომპანიების ერთობლივი პროდუქტის შესახებ (იხ. სურათი 2) - ბუნებრივი რესურსების სფეროში საკონსულტაციო მომსახურების დაწყების თაობაზე.

სურათი 2. სურათები კომპანია Colliers International Georgia-სა და მაია ზავრაშვილის Facebook-ის გვერდებიდან

სარეკლამო სტატიაში[21] ისინი აღნიშნავენ, რომ კომპანიები ერთობლივ სერვისს გაუწევენ ბუნებრივი რესურსების სფეროში ინვესტირებით დაინტერესებულ კომპანიებს და შესთავაზებენ შემდეგ მომსახურებას: ინვესტორებთან მუშაობა, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები, აუდიტი, იურიდიული მხარდაჭერა და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა.

გარდა ამისა, კომპანიების ერთობლივ 15-გვერდიან საინფორმაციო ბროშურაში, კომპანიები აღწერენ საქართველოში სამთომოპოვებით მრეწველობაში ინვესტირების შესაძლებლობებსა და სარგებელს. აქვე წარმოდგენილია ინფორმაცია გუნდის გამოცდილების შესახებ და მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (იხ. სურათი 3).

ბროშურაში, მაია ზავრაშვილის მიღწევების აღწერისას, ხაზგასმულია, რომ ის, როგორც წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი, კოორდინაციას უწევდა მთელი სააგენტოს საქმიანობას, ხელს აწერდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შეთანხმებებსა და ლიცენზიებს, გამოსცემდა სამართლებრივ აქტებს. მაია ზავრაშვილის ღირსებებს შორის აღნიშნულია ისიც, რომ მას აქვს მყარი კავშირები საქართველოს სამინისტროებთან და სამართლის სფეროში, რადგან მას ბოლო წლებში ეჭირა მაღალი თანამდებობები სამინისტროებში; ის იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე.[22]

[21] საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, 5 აგვისტო, 2020. ბუნებრივი რესურსების საკონსულტაციო მომსახურება - კოლიერსის და MMS-ის ერთობლივი პროდუქტი.

[22] “Maia Zavrashvili, Partner | Mining and Minerals Solution (MMS). Maia Zavrashvili is an experienced Georgian Lawyer with over 12 years of experience of interacting with key government ministries, private sector counterparts and legal entities in Georgia. As the Head of the National Agency of Mines, Maia was the key in all coordination of the work of Agency. One of the critical aspects of Maia’s role as Head of NAM was signing the agreements and issuance of licenses for the use of mineral resources and within the competence issuance of administrative-legal acts. Along with her strong technical knowledge, Maia has strong networks across Georgian ministries and in the legal sector given the breadth of engagement with various ministries in key positions such as Deputy Minister of the ministry of environment and natural resources throughout the last few years.” წყარო: Colliers International and Mining & Minerals Solutions. Natural Resources Consulting: Product Leaflet.

სურათი 3. სურათები Colliers International-ისა და Mining & Minerals Solutions-ის საინფორმაციო ბროშურიდან









რა თქმა უნდა, სახელმწიფო მოხელეებმა შეიძლება დატოვონ დაკავებული თანამდებობები და იმუშაონ იქ, სადაც მათ სურთ, მაგრამ საჯაროდან კერძო სექტორში გადაადგილებას (ისევე როგორც პირიქით პროცესს - კერძოდან საჯარო სამსახურში გადასვლას) მოყვება გარკვეული სახის რისკები, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

თუ გავიხსენებთ წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავების პროცესს (იხ. წინა თავებში) და მასთან კავშირში, განვიხილავთ წიაღის ეროვნული სააგენტოს აწ უკვე ყოფილი უფროსის ახლანდელ სამუშაო ადგილებს, იკვეთება შემდეგი სურათი:

მაია ზავრაშვილი, წიაღის ეროვნული სააგენტოს შექმნის დღიდან, ხელმძღვანელობს სააგენტოს და უძღვება წიაღის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესს; პოლიტიკის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სექტორში ინვესტირებით დაინტერესებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით და დოკუმენტს ქმნის მის მიერ დაქირავებული საკონსულტაციო კომპანია Adam Smith International-ი.

წიაღის სექტორის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესი, რომელიც მაქსიმალური გამჭირვალობით უნდა წარმართულიყო, იყო სრულიად დახურული. უფრო მეტიც, პოლიტიკის საბოლოო პროექტს დაერქვა სტრატეგია, ის საქართველოს მთავრობამ დამტკიცა და ამით, თავიდან იქნა აცილებული დოკუმენტის შინაარსზე დებატები პარლამენტში.

სექტორში სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტის (როგორც მას სააგენტო მოიხსენიებს - „წიაღის სექტორის პირველადი სახელმძღვანელო დოკუმენტის, რომლის საფუძველზეც განახლდება არსებული საკანონმდებლო ჩარჩო“) მიღებიდან მოკლე ხანში, წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი ტოვებს დაკავებულ თანამდებობას და იწყებს მუშაობას იმ საკონსულტაციო კომპანიაში (Adam Smith International-ში), რომელმაც შეიმუშავა სტრატეგიად გადაკეთებული პოლიტიკის დოკუმენტი. Adam Smith International-ში მაია ზავრაშვილის იურიდიული მრჩევლის თანამდებობაზე დასაქმება, სავარაუდოდ, უნდა უკავშირდებოდეს ერგბ-ს წიაღის სექტორის განვითარების პროგრამის მეორე ფაზას, რომელიც გულისხმობს პოლიტიკის/სტრატეგიის საფუძველზე წიაღის სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის განახლებას[23]. არც ერგბ-ს და არც წიაღის ეროვნულ სააგენტოს ამ დრომდე არ გაუკეთებიათ განცხადება პროგრამის მეორე ფაზის დაწყების შესახებ; ამდენად, უცნობია, შეასრულებს, თუ არა (ან უკვე ასრულებს, თუ არა) Adam Smith International-ი მეორე ფაზის სამუშაოებს - განაახლებს კანონმდებლობას. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაია ზავრაშვილს ეძლევა შესაძლებლობა, ზეგავლენა მოახდინოს ახალი კანონმდებლობის შინაარსზე და შემუშავების პროცესზე.

სექტორის მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობის ფორმირებაზე ზეგავლენის შესაძლებლობით გამოწვეული შესაძლო შედეგები ბევრად მძიმდება, როდესაც გავიხსენებთ, რომ მაია ზავრაშვილმა, პარალელურად, დაიწყო მუშაობა კომპანიაში, რომელიც წიაღის სექტორში ინვესტირებით დაინტერესებულ კომპანიებს გაუწევს დახმარებას.

Colliers International Georgia-ს საინფორმაციო ბროშურაში დასახელებული მაია ზავრაშვილის „ღირსებები“, პოზიტიურად წარმოჩენის ნაცვლად, პირიქით - მისი ახალი საქმიანობის მიმართ არცთუ უსაფუძვლო ეჭვებს აღძრავს; კერძოდ, ხომ არ გამოიყენებს ის სამინისტროებში შემორჩენილ კავშირებს და წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობისას მიღებულ ინფორმაციას ლობირებისთვის და იმ კომპანიებისთვის უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად, რომელსაც ის მოემსახურება (ან იმ ორგანიზაციებისთვის, რომელშიც ის იმუშავებს)?!..

ე.წ. „მბრუნავი კარის“ (საჯარო და კერძო სექტორებს შორის სამსახურეობრივი გადაადგილება) პრაქტიკით გამოწვეულ ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის რისკების პრევენციას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ ახდენს[24]. ამდენად, მომავალ წლებში, ამ კონკრეტული ყოფილი სახელმწიფო მოხელის საქმიანობის საზოგადოებრივი მონიტორინგი მნიშვნელოვანი იქნება.

[23] EBRD, 25 Jun 2019. Georgia - Mining Sector Development Programme Phase II - Legislative Framework Development.

[24] იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 9 ივლისი, 2019. „მბრუნავი კარის“ პრობლემა საქართველოში: კანონმდებლობისა და აღსრულების ხარვეზები.

ბოლოსიტყვაობა

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგია“ არ არის დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით მიღებული სახელმწიფო პოლიტიკა; ამდენად, ის უნდა გაუქმდეს. ამასთან ერთად, ერგბ-ს პროგრამის ფარგლებში მომზადებული საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკის საბოლოო პროექტი უნდა გამოქვეყნდეს, ფართოდ გავრცელდეს და გაიმართოს საჯარო კონსულტაციები (როგორც ეს მოხდა საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის შემუშავებისას).

პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც მათ საფუძველზე კანონმდებლობის განახლების პროცესი, უნდა წარიმართოს მაქსიმალურად გამჭვირვალედ. დოკუმენტირებული უნდა იყოს ყველა შეხვედრა, დღის წესრიგები, ოქმები, მონაწილეთა სიები, წარდგენილი მოსაზრებები; პროცესი უნდა იყოს ღია, რათა მონაწილე მხარეებმა დაინახონ, მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლები.

რაც შეეხება წიაღის ეროვნული სააგენტოს ყოფილ უფროსს, სააგენტომ უნდა მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ გარკვეული პერიოდის (სულ მცირე, ერთი წლის) განმავლობაში ის იყოს სრულიად დისტანცირებული სააგენტოში მიმდინარე, მათ შორის, კანონმდებლობის შემუშავებისა და წიაღით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის პროცესებისგან.

ბიბლიოგრაფია

ადამ სმიტ ინთერნეიშენალ (Adam Smith International) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (European Bank for Reconstruction and Development), 2019 წლის მარტი. *საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკა: საბოლოო პროექტი*. წიაღის ეროვნული სააგენტო. ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2RoxhFg

მწვანე ალტერნატივა, 2020 წლის 31 მარტი. *მწვანე ალტერნატივას მოსაზრებები გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის აღსრულების შესახებ*. მწვანე ალტერნატივა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hpcLR3

მწვანე ალტერნატივა, 2019 წლის 20 ივნისი. *მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და მოსაზრებები საქართველოს წიაღის სექტორის პოლიტიკის პროექტზე*. მწვანე ალტერნატივა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hkxntQ

მწვანე ალტერნატივა, 2015 წლის ივლისი. *ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასური - კანონიერება და კორუფციის საფრთხეები*. მწვანე ალტერნატივა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gmARec

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2019 წლის 9 ივლისი. *„მბრუნავი კარის“ პრობლემა საქართველოში: კანონმდებლობისა და აღსრულების ხარვეზები*. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aNEkBl

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, 2020 წლის 5 აგვისტო. *ბუნებრივი რესურსების საკონსულტაციო მომსახურება - კოლიერსის და MMS-ის ერთობლივი პროდუქტი*. საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2EhFzN6

სატყეო პოლიტიკის სამსახური, დაუთარიღებელი. *2013-2014 წლების ანგარიში.* საქართველოს პარლამენტი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RjNMDH

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2018 წლის მარტი. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროს გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hnNd6Y

წიაღის ეროვნული სააგენტო, 2019 წლის 10 დეკემბერი. *სიახლეები: წიაღის ეროვნული სტრატეგია დამტკიცდა*. წიაღის ეროვნული სააგენტო. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3m31JE0

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 9 დეკემბრის #2575 განკარგულება „საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს მთავრობა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/336ItNm

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის #629 დადგენილება „პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე“. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35kTtcu

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hcZNFj

საქართველოს მთავრობა, 2017 წლის დეკემბერი. *თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა: საშთავრობო პროგრამა 2018-2020*. საქართველოს მთავრობა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2P0FejH

საქართველოს მთავრობა, 2018 წლის ივნისი. *თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა: სამთავრობო პროგრამა 2018-2020*. საქართველოს მთავრობა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3g8zOis

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2018 წლის 6 დეკემბერი. საქართველოს პარლამენტი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33cq41k

საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის დადგენილება „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33oHXKP

Colliers International and Mining & Minerals Solutions. Natural Resources Consulting (n.d.) *Product Leaflet*. Colliers International.

European Bank for Reconstruction and Development (EBRD), 1 November, 2017. *Georgia Mining Sector - Development Support Programme: Invitation for expression of interest*. Procurement notice. EBRD. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/303qV4l

European Bank for Reconstruction and Development, 25 June, 2019. Georgia - Mining Sector Development Programme Phase II - Legislative Framework Development. Procurement notice. EBRD. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31n1QSD

International Council on Mining and Metals (ICMM), October 2018. *Role of Mining in National Economies: Mining Contribution Index 2018. 4th edition*. ICMM. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bBDmbP

ზავრაშვილი მაია [Mako Zavrashvili]. 2020 წლის 1 ივლისი. Legal Advisor at Adam Smith International, July 1 — Legal Advisor at Adam Smith International, London, United Kingdom [Facebook-ის სტატუსის განახლება]. მოძიებულია: https://bit.ly/3mcNJHY

ზავრაშვილი მაია [Mako Zavrashvili]. 2020 წლის 4 აგვისტო. Founding Partner/Managing Director at Colliers International Georgia - Mining & Minerals, August 4 — Founding Partner/Managing Director at Colliers International Georgia - Mining & Minerals, Tbilisi, Georgia. ჩემი (Mining & Minerals Solutions) და Colliers International თანამშრომლობის პროდუქტი :) coming soon :) დაინტერესდით ! [Facebook-ის სტატუსის განახლება]. მოძიებულია: https://bit.ly/3371G1n

ზავრაშვილი მაია [Mako Zavrashvili]. 2020 წლის 5 აგვისტო. Nature Resource Consulting in Caucasus #MMS #ColliersInternational. სტატია „ბუნებრივი რესურსების საკონსულტაციო მომსახურება - კოლიერსის და MMS-ის ერთობლივი პროდუქტი“: https://bit.ly/3igm3PW [Facebook-ის სტატუსის განახლება]. მოძიებულია: https://bit.ly/2FknVZb

Colliers International Georgia [@colliersgeorgia]. 2020 წლის 5 აგვისტო. კოლიერსმა და Mining & Minerals Solution-მა რეგონისთვის ახალი, ერთობლივი სერვისი დანერგეს, რომელიც ბუნებრივი რესურსების სფეროში ინვესტირებით დაინტერესებულ კომპანიებს მომსახურების სრულ ჯაჭვს შესთავაზებს… სტატია „ბუნებრივი რესურსების საკონსულტაციო მომსახურება - კოლიერსის და MMS-ის ერთობლივი პროდუქტი“: https://bit.ly/3igm3PW [Facebook-ის სტატუსის განახლება]. მოძიებულია: https://bit.ly/3m029uN